



4284/3-26/21 2 13052021



4284/3-26/21

13-05-2021

ქალაქ თბილისის მერს

ბ-ნ კახა კალაძეს

ბატონო კახა,

აშკარაა რომ თბილისში და მის შემოგარენში სულ უფრო დიდ მასშტაბებს იღებს ფიჭვების ხმობის პროცესი. კონკრეტულად რა ღონისძიებებს ახორციელებს ამ პრობლემის მოსაგვარებლად თბილისის მერია და რა არის დაგეგმილი უახლოეს მომავალში?

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, ამავე მუხლით დადგენილ ვადაში მომაწოდოთ ზემოხსენებული ინფორმაცია.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ალექსანდრე ელისაშვილი

ქალაქი თბილისი



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: **18-01211471313**
თარიღი: **27/05/2021**
პინი: **9907**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

საქართველოს პარლამენტის წევრს

ბატონ ალექსანდრე ელისაშვილს

ბატონო ალექსანდრე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა, თქვენ მიმდინარე წლის 13 მაისის № 4284/3-26/21 (მერიაში რეგისტრირებული № 02-01211333293-01) განცხადება, რომლითაც სამსახურის მხრიდან ითხოვთ ინფორმაციას, დედაქალაქის ტერიტორიაზე, ფიჭვის სახეობის ხე-მცენარეებით გამწვანებულ ფართობებში უკვე განხორციელებული და სამომავლოდ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციისა და კლიმატის ცვლილებების ეპოქაში ურბანული ლანდშაფტები განსაკუთრებულად მგრძობიარენი და მოწყვლადი ხდებიან; ტყეების კვდომა მსოფლიო მასშტაბით სერიოზულ ეკოლოგიურ პრობლემად იქცა. მთავარ მიზეზად კლიმატის გლობალური დათბობა სახელდება, რამაც შესაძლებელია, რომ პირდაპირ იმოქმედოს მცენარის ფიზიოლოგიურ პროცესებზე და გამოიწვიოს მისი ხმობა; ან/და მცენარის დასუსტების შედეგად, მავნებლებისა და პათოგენების ზემოქმედებით მისი დეგრადირება ან ხმობა.

თბილისის შედის მაღალი ზემოქმედების მუნიციპალიტეტების სიში, სადაც უახლოეს მომავალში ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმისა და ცხელ დღეთა წლიური საშუალო რაოდენობის ცვლილების შედეგად, საარსებო პირობების მკვეთრი გაუარესებაა მოსალოდნელი (კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გზამკვლევი თბილისი 2016). კლიმატის ცვლილების შესწავლის კუთხით, თბილისისათვის დაფიქსირებული საშუალო წლიური ტემპერატურის მატება 0,4°C-ია. ამასთან უკანასკნელ ათწლეულში აღინიშნა საშუალო წლიური ნალექების შემცირება 5%-ით (Elizbarashvili et al., 2017). ყოველივე ზემოაღნიშნულმა დამატებით დაამძიმა მცენარეთათვის ისედაც რთული და სტრესული გარემო პირობები.

სწორედ გლობალური დათბობის შედეგად მავნებელ-დაავადებების გააქტიურებს პროცესს ვაკვირდებით თბილისის მწვანე ნარგავების შემთხვევაში. აღნიშნული პროცესის შერბილება წარმოადგენს თბილისის სატყეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას.

თბილისის ტყეებში არსებული წიწვოვანი სახეობების საერთო მდგომარეობა ამ ეტაპზე არ არის სახარბიელო, საფრთხე ემუქრება ხელოვნურად გაშენებული ფიჭვნარებს (ტყეების საერთო ფართობის 15%-მდე) - მიმდინარეობს მასიური ავადობისა და ხმობის პროცესი. არსებული დაკვირვებების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ინტენსიური ხმობა დაახლოებით 1997-1998 წლებიდან დაიწყო. ხმობის მიზეზს გარდა საერთო გლობალური მდგომარეობისა წარმოადგენს ის, რომ ფიჭვები თავდაპირველად არ იყო გაშენებული ამ სახეობისათვის განკუთვნილ ბუნებრივ არეალში. ეს მცენარეები გაცილებით მგრძობიარენი არიან სტრესებისადმი, გამოირჩევიან მავნებელ-დაავადებებისადმი მაღალი მიმდევობით. დღეისათვის ქალაქის წიწვოვანი ნარგავობები მეტწილად ხნოვანი ხეებისაგან შედგება, რაც ხმობის თვალსაზრისით დამატებით რისკ-ფაქტორს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური ახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს ტყის მოვლისა და აღდგენის მიმართულებით, კერძოდ:

- **სანიტარული ჭრების საშუალებით მავნებლის გავრცელების შემცირება**

სანიტარიულ ჭრებს თბილისის მუნიციპალიტეტის მერია პერიოდულად ახორციელებდა, თუმცა მასშტაბური სამუშაოები დედაქალაქის ტერიტორიაზე, 2015 წელს დაიწყო, რომლის ფარგლებშიც სპეციალური გამოკვლევისა და წინასწარი აღრიცხვის საფუძველზე, იჭრება ზეხმელი, ხმობადი, ძლიერ ფაუტი (ფუტურო) და მავნებლებით ძლიერ დაზიანებული ხეები.

2015-2020 წლებში, სამსახურის მიერ სანიტარიული ჭრის ფარგლებში ჯამში 166 340 ხმელი და ხმობადი ფიჭვის ხე მოიჭრა. სამუშაოები წელსაც აქტიურად მიმდინარეობს, ამ ეტაპზე მოჭრილია 4600 ძირი ხე და წინასწარი აღრიცხვის საფუძველზე იგეგმება 6000 ძირის მოჭრა.

- **ფიჭვნარების წამლობა და კვლევა**

უნდა აღინიშნოს, რომ ფიჭვის ინტენსიურ ხმობას ძირითადად განაპირობებს ფიჭვის დიდი ლაფნიჭამია (მებაღე) - *Tomicus piniperda* L. და ფიჭვის პატარა მებაღე - *Tomicus minor* Hart. თუმცა მიკოლოგიური კვლევების ფარგლებში, აგრეთვე იდენტიფიცირებულია სხვადასხვა პათოგენური სოკო.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური ყოველწლიურად ახორციელებს ფიტოსანიტარული კვლევებს; სწორედ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით ხორციელდება დაავადებული მცენარეების (ფიჭვების) წამლობა. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიებზე, სადაც ფიქსირდება დაავადებული ხე-მცენარეები, სამსახური უპირველეს ყოვლისა ახორციელებს სანიტარულ ჭრებს, ხოლო შემდგომ აღნიშნულ ლოკაციაზე იწამლება არსებული ფიჭვის ხე-მცენარეები, პათოგენური სოკოების წინააღმდეგ.

2018 წელს სატყეო პათოლოგიური გამოკვლევა ჩატარდა 11 900 ჰა ფართობზე, 2019 წელს 5 000 ჰა ფართობზე, 2020 წელს 632 ჰა ფართობზე, ხოლო მიმდინარე წელს 700 ჰა ფართობზე (ქ. თბილისის მერიასა და ფონდ „განვითარება და გარემო“-ს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში).

2015-2020 წლებში პათოგენური სოკოებთან ბრძოლის მიზნით შეიწამლა 184 577 ფიჭვის ხე. 2021 წელს აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები, ამ ეტაპზე შეწამლულია 7 ჰა ფიჭვის სახეობებით გამწვანებული ტერიტორიები.

- **ტყის აღდგენა-გაშენება**

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, აქტიურად ახორციელებს წარსულში ფიჭვის სახეობის ხე-მცენარეებისაგან ფორმირებული ტყის მასივების აღდგენის და არსებული ნარგავების შენარჩუნების მიზნით ღონისძიებებს, კერძოდ ფიჭვის სახეობების ჭრა გავლილი მონოკულტურების გაშენებას თბილისის კლიმატისთვის დამახასიათებელი სახეობებით.

კუს ტბის მიმდებარე ფერდობის აღდგენის მიზნით, 2019 წელს, დაახლოებით 7 ჰექტარ ფართობზე 7 600 ძირი, სხვადასხვა სახეობის მწვანე ნარგავი დაირგო.

ჟინვალის ქუჩის მიმდებარე არსებულ 5.7 ჰექტარ ფართობზე, 2020 წელს, 10 000-მდე მწვანე ნარგავი დაირგო.

თბილისის ზღვის მიმდებარე, ზ. წერეთელის მონუმენტის „საქართველოს მატთან“-ს მომიჯნავედ არსებულ 6,6 ჰა ფართობზე, 2021 წელს 11 000-მდე მწვანე ნარგავი დაირგო.

სამივე ლოკაციაზე, მწვანე ნარგავების დარგვის პროცესში ასევე, განხორციელდა ნოყიერი მიწის ნაზავის შეტანისა და სარწყავი სისტემის მოწყობის სამუშაოებიც.

2022 წელს იგეგმება, 5,5 ჰექტარ ფართობზე დაახლოებით 12 000 ნერგის დარგვა.

- **ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები**

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ 2018 წელს, განახორციელდა მწვანე ნარგავების (ტყის) ინვენტარიზაცია, რაც 1986 წლის შემდეგ არ ჩატარებულა. სწორედ აღნიშნული ინვენტარიზაციის

შედეგებზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ თბილისის ხელოვნური წარმოშობის ტყეებს ნეგატიურ გარემო ფაქტორებზე შემგუებლობის უნარი უკვე შესუსტებული აქვს. ხელოვნური წარმოშობის ტყეებში ფიჭვნარი კორომები ჭარბობს.

მსოფლიოში ტყეების გადარჩენის ერთ-ერთი აპრობირებული ღონისძიებაა არსებული, ხელოვნურად გაშენებული მონოკულტურების შერეულ ტყეებად გარდაქმნა. მონოკულტურებში, მცენარეები უფრო მგრძობიარენი არიან პათოგენებისა და მავნებლებისადმი. მცირდება ხანძრის საშიშროების და გავრცელების რისკიც.

შერეული ტყეების ჩამოყალიბება, კერძოდ ხელოვნურად გაშენებული ფიჭვნარების შერეულ ტყეებად გარდაქმნისათვის აუცილებელია ტყის იმ სახეობების განვითარების ხელშეწყობა, რომლებიც დამახასიათებელია ადგილობრივი პირობებისათვის. ამ მიზნით ხორციელდება ტყის ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები (ტყის ბუნებრივი განახლების ღონისძიებებია - ძოვებისაგან დაცვის მიზნით ტერიტორიის შემოღობვა, ხმელი და დაავადებული მცენარეების მოჭრა, ტერიტორიის ეკალ-ბარდებისგან გასუფთავება და ნიადაგის აჩინქვნა).

არსებული მწვანე ნარგავების (ტყეების) მართვის გეგმის საფუძველზე, ფიჭვის სახეობებისგან ფორმირებული ტყის კორომებში, დაიგეგმა ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები.

სამსახურის მიერ ფიჭვის სახეობებისგან ფორმირებული ტყის კორომებში, ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები 2019-2020 წლებში, კოჯრის სატყეოში, კრწანისის სატყეოში და წყნეთის სატყეოში დაახლოებით 25 ჰექტარ ფართობზე, განახორციელა. წელსაც მიმდინარეობს სამუშაოები და აღნიშნული ღონისძიების ჩატარება იგეგმება 20 ჰა ფართობზე.

- **ქ. თბილისის ურბანული ტყის სივრცით-ფუნქციური და ტექნიკურ-ეკონომიკური განვითარება**

2020 წელს გაფორმდა მემორანდუმი ქ. თბილისის მერიასა და „ფონდი განვითარება და გარემო“-ს შორის.

მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილია 677 ჰა ფართობზე ტყის აღდგენა-განახლების სამუშაოები. აღნიშნულია ფართობი ემიჯნება ქალაქის ცენტრალურ უბნებს : წავკისი, ოქროყანა, სოლოლაკი, მთაწმინდა, ვერა, ვაკე, ბაგები, წყნეთი და უძოს მთის მიდამოები. აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს ქ. თბილისის გამწვანების ერთ-ერთ ძირითად კვანძს. უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო არეალი ძირითადად წარმოდგენილია, ფიჭვის სახეობის ხე-მცენარეებით.

- **პროექტის ფარგლებში იგეგმება:**

ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ: ხე-მცენარეულ საფარს მოკლებული ფერდობების გატყიანება, გეობადებისა და გეოტექსტილის საფარის მოწყობა, ფერდობის დახრილობის შემცირება დატერასებით და სხვა...

დენდროლოგიური, ლანდშაფტური და გეოლოგიური ფაქტორების გათვალისწინებით ტერიტორიის დენდროლოგიური ფონდის გაჯანსაღება, ხმელი და დაავადებული მცენარეების ჩანაცვლება, ტერიტორიისთვის დამახასიათებელი სახეობებით.

საფეხმავლო ბილიკების კეთილმოწყობა და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. მეორეხარისხოვანი ბილიკების გაუქმება და ლანდშაფტის აღდგენა.

შესასვენებელი და რეკრეაციული პუნქტების მოწყობა (ფანჩატურები, საპიკნიკეები, ძელსკამები, საინფორმაციო დაფები და ა.შ.)

- **2021 წელს განხორციელდება:**

საპროექტო არეალში განლაგებული მწვანე ნარგავების ფიზიკურის მდგომარეობის შესწავლის შემდეგ, ხმელი, დაავადებული და ფაუტი ხე-მცენარეების ჭრა.

ბიოტექნიკური კონტროლის ფარგლებში, მწერების მასიურად დაჭერისა და მონიტორინგისათვის, ფეროშონების განთავსება.

დაბალი სიხშირის და დეგრადირებულ კორომებში ხე-მცენარეების შერგვა. (სავარაუდოთ 50 000 ნერგამდე)

ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ: ხე-მცენარეულ საფარს მოკლებული ფერდობების რეკულტივაციის გეგმის შედგენა.

საფეხმავლო ბილიკების კეთილმოწყობა და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. მეორეხარისხოვანი ბილიკების გაუქმება და ლანდშაფტის აღდგენა.

სახანძრო უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით, კონცეფციის შემუშავება და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

